**ხელშეკრულება**
**საქონლის ვებ გვერდ Jimbo.ge-ზე განთავსებისა და რეალიზაციის**
**შეთავაზების შესახებ**

ერთი მხრივ შპს „მაღაზია ჯიმბო“ (ს/ნ 446997965) წარმოდგენილი მისი დირექტორის, ლევონ არუთინიანის სახით (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „ოფერტის გამცემი“), ხოლო მეორე მხრივ შპს _____ (ს/ნ ----------) წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- სახით (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „გამყიდველი“)

ხელშეკრულების ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მხარე“ ან ერთობლივად, როგორც „მხარეები“, ნების თავისუფალი გამოვლენისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

## 1. ტერმინთა განმარტება

1.1 ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1 **ოფერტი** - შეთავაზების პირობები, Jimbo.ge-ზე საქონლის/გასაყიდი პროდუქტის განთავსებისა და რეალიზაციის შესახებ. რომელზეც, გამყიდველის მიერ გაცხადებული თანხმობა გამოიწვევს ხელშეკრულების დადებას შეთავაზებაში მითითებული პირობებით.

1.1.2 **ოფერტის გამცემი** - ონლაინ მაღაზია Jimbo.ge

1.1.3 **გამყიდველი** - კომერციული ორგანიზაცია, ინდივიდუალური მეწარმე ან/და ფიზიკური პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიჩნეულია თვითდასაქმებულად და თანხმობას აცხადებს ოფერტის მიღებაზე.

1.1.4 **Jimbo.ge** - ინტერნეტ სივრცეში შექმნილი ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია შეთავაზებები მომხმარებლისათვის და შესაძლებლობას აძლევს მათ შეიძინონ სასურველი პროდუქცია.

1.1.5 **ხელშეკრულება** - მხარეთა შორის არსებული შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც „გამყიდველი“ თანხმობას აცხადებს წინამდებარე დოკუმენტში არსებულ შეთავაზების პირობებზე.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად გამყიდველი გადასცემს, ხოლო „ოფერტის გამცემი“ იღებს ვალდებულებას, რომ გამყიდველის სახელით და გამყიდველის ხარჯზე განახორციელოს ტრანზაქციები ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებული საქონლის გასაყიდად. Jimbo, გამყიდველის სახელით, იღებს საქონლის ღირებულების გადახდას მყიდველებისგან და გადასცემს საქონლის გაყიდვიდან შემოსულ თანხას გამყიდველს. ვებ-გვერდზე საოპერაციოდ პროცესების შესრულების წესს ადგენს ჯიმბო დამოუკიდებლად,

გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, და ამ წესების შესახებ უნდა აცნობოს გამყიდველს.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამყიდველი იღებს ვალდებულებას ჯიმბოს აუნაზღაუროს შეკვეთის შესრულებისას გაწეული ხარჯები.

2.3 წინამდებარე ხელშეკრულები 2.1 პუნქტში მითითებული სერვისის გარდა, Jimbo-ს შეუძლია გამყიდველს შესთავაზოს გაყიდულ საქონელთან დაკავშირებით არსებული შემდეგი სერვისები:

- მომხმარებლისათვის საქონლის მიწოდების ორგანიზება;
- მომხმარებლების მიერ დაბრუნებული საქონლის მიღება, საქონლის შენახვა ჯიმბოს (ან ჯიმბოს პარტნიორების) საწყობებში;
- მომხმარებლის მიერ, საქონელში დეფექტების არსებობის გამო, გამყიდველის დაბრუნებული საქონლის განკარგვა.

2.3.1 წინამდებარე ხელშეკრულების 2.3 პუნქტით გათვალისწინებული სერვისი გამყიდველისათვის უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გამყიდველი მის კუთვნილ სარეალიზაციო საქონელს/პროდუქტს გადასცემს Jimbo-ს.

2.3.2 იმ შემთხვევაში თუკი გამყიდველი საქონელს არ გადასცემს Jimbo-ს, იგი ვალდებულია თავად, საკუთარი რესურსითა და ხარჯებით უზრუნველყოს მომხმარებლისათვის, ამ უკანასკნელის მიერ შეძენილი პროდუქციის მიწოდება კლიენტის მიერ ნივთის შეძენიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში.

2.4 გამყიდველი პროდუქტის რეალიზაციისათვის პორტალზე, Jimbo-ს მიერ გამოქყვენებული ფორმის მიხედვით, ათავსებს გასაყიდი საქონლის ჩამონათვალს, რომელშიც მითითებულია საქონლის დასახელება და სხვა მნიშვნელოვანი მონაცემები.

2.5 საქონელი ითვლება გამყიდველის საკუთრებად მანამდე, სანამ მომხმარებელი არ მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას.

## 3. მომხმარებლისათვის საქონლის მიწოდება Jimbo-ს მიერ

3.1 მომხმარებლისათვის ჯიმბოს მიერ საქონლის გადაცემა ხორციელდება:

3.1.1 თუკი გადაცემულ საქონელთან დაკავშირებით, მომხმარებელსა და გამყიდველს შორის, ვებ-გვერდის საშუალებით დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება

3.1.2 ან თუკი არ არსებობს მომხმარებლის შეკვეთა. თუმცა ასეთ შემთხვევაში საქონლის მომხმარებლისათვის მიწოდება ხორციელდება ჯიმბოსთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, პორტალზე გათავსებული განცხადების ფორმის შევსებით.

3.2 გამყიდველი ვალდებულია დამოუკიდებლად და რეგულარულად, გაეცნოს პორტალზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას მომხმარებლის შეკვეთების შესახებ. ასევე ჯიმბოს საწყობში არსებული საქონლის რაოდენობის შესახებ ინფორმაციას იმ შემთხვევაში, თუ საქონელი მომხმარებლისათვის გადასაცემად გამყიდველმა გადასცა Jimbo-ს.

3.3 იმ შემთხვევაში, თუკი გაყიდული საქონელი მომხმარებელს არ გადაეცემა 3.1 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად 2 სამუშაო დღეში, რის შესახებაც გამყიდველი არ გააკეთებს პორტალზე სათანადო შეტყობინებას და აღნიშნულის გამო მომხმარებელი განაცხადებს პრეტენზიას, Jimbo უფლებამოსილია დააკისროს გამყიდველს ჯარიმა გაყიდული საქონლის ღირებულების 50%-ის ოდენობით. გამყიდველი ვალდებულია გადაიხადოს აღნიშნული ჯარიმა, Jimbo-ს მიერ მისი გამოწერიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, Jimbo-ს მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.

მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, გადასახდელი ჯარიმა Jimbo-მ შესაძლოა დააკავოს გამყიდველის პროდუქციის რეალიზებით მიღებული შემოსავლებიდან.

3.4 მომხმარებლისათვის, გაყიდული საქონლის შეუფერხებლად მიწოდების მიზნით გამყიდველი ვალდებულია:

3.4.1 Jimbo-სათვის საქონლის გადაცემამდე პორტალზე ატვირთოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია (როგორიცაა ზედნადები, ინვოისი და მისთ.);

3.4.2 Jimbo-სთან არსებული შეთანხმების შესაბამისად, დათქმულ დროსა და ადგილას გადასცეს საქონელი Jimbo-ს წარმომადგენელს.

3.5 ინფორმაცია მომხმარებლის შეკვეთის შესახებ  გამყიდველის მიერ მიღებულად ჩაითვლება პორტალზე მომხმარებლის შეკვეთის შესახებ ინფორმაციის განთავსების მომენტიდან.

3.6 თუ გამყიდველი ვერ შეასრულებს ხელშეკრულების 3.4 პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას Jimbo-ს უფლება აქვს უარი თქვას საქონლის მიღებაზე.

3.7 საქონლის მიტანა Jimbo-ს საწყობამდე ხორციელდება გამყიდველის ხარჯზე.

3.8 თუკი გამყიდველის მიერ საქონლის Jimbo-სათვის გადაცემის მომენტში არ ფიქსირდება შეკვეთა გადასაცემ ნივთზე, ან საქონლის გადაცემა არ არის შეთანხმებული ხელშეკრულების 3.1.2 პუნქტით გათვალისწინებული წესით, Jimbo-ს აქვს უფლება უარი თქვას საქონლის მიღებაზე.

3.9 თუკი მომხმარებელმა გააუქმა შეკვეთა შესყიდულ საქონელზე გამყიდველის მიერ Jimbo-სათვის მის გადაცემამდე და შესაბამისად მას დაუბრუნდა გადახდილი თანხა, აღნიშნული საქონელი უბრუნდება გამყიდველს და იგი არ რჩება Jimbo-ს საწყობში.

3.10 გამყიდველი ვალდებულია საქონელი Jimbo-სათვის გადაცემამდე შეფუთოს ეტიკეტირების წესების დაცვით.

3.11 ჯიმბოს მიტანის სერვისი არის სატვირთო გადაზიდვის სერვისი და შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ქმედებებს: ტრანსპორტირებისთვის საჭირო დოკუმენტების მომზადება; სატრანსპორტო საშუალებების დატვირთვა-გადმოტვირთვა; საინფორმაციო სერვისის გაწევა მომხარებლისათვის;

3.12 ჯიმბო დამოუკიდებლად განსაზღვრავს საქონლის ტრანსპორტირების მარშრუტებს და მომსახურების გაწევის წესს. ჯიმბოს უფლება აქვს ჩართოს მესამე მხარე საქონლის ტრანსპორტირებაში.

**4. გადახდის წესი:**

4.1 გამყიდველს უფლება აქვს შეცვალოს ვებ-გვერდზე განთავსებული საქონლის ფასი, მათ შორის ფასდაკლებების მითითების საშუალებითაც. საქნელი ექვემდებარება გაყიდვას ჯიმბოს მიერ, გაყიდვის დროს პორტალზე მითითებული ფასის შესაბამისად, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს გამყიდველის მიერ მითითებულ ფასდაკლებულ ღირებულებას.

4.2 გამყიდველის მიერ ვებ-გვერდზე მითითებული საცალო ფასი მოიცავს საქონლის ღირებულებას, შეფუთვასა და ეტიკეტირებას, მიწოდებას და ასევე გამყიდველის სხვა ხარჯებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულებით და ითვალისწინებს კანონმდებლობით მოქმედ ყველა არაპირდაპირ გადასახადს.

4.3 Jimbo-ს უფლება აქვს გამყიდველის დასტურის/თანხმობის გარეშე, თუმცა მისთვის შეტყობინების შემდეგ, დამოუკიდებლად გამოიყენოს ფასდაკლებები გამყიდველის მიერ მითითებულ საქონლის ღირებულებაზე.

4.4 ყოველკვირეულად, საანგარიშო პერიოდის დასრულებამდე Jimbo გამყიდველს წარუდგენს გაყიდვების შესახებ ანგარიშს. საანგარიშო პერიოდი შეადგენს 1 კვირას, რომლის განმავლობაშიც Jimbo-მ გაყიდა საქონელი გამყიდველის სახელით.

4.5 გაყიდვების ანგარიში მიეწოდება გამყიდველს პორტალზე განთავსებით. გამყიდველს უფლება აქვს მიაწოდოს დასაბუთებული კომენტარები ანგარიშზე მისი პორტალზე განთავსებიდან გონივრულ ვადაში. თუკი გონივრულ ვადაში გამყიდველის მიერ არ იქნება წარმოდგენილი კომენტარები/შენიშვნები გაყიდვების ანგარიშთან დაკავშირებით აღნიშნული ითვლება დამტკიცებულად.

4.6 Jimbo გამყიდველს უხდის საქონლის გაყიდვიდან მიღებულ თანხას, პროდუქტის გაყიდვების შესახებ ანგარიშის გამოქვეყნებიდან 1 კვირის ვადაში, ყოველთვის, კვირაში ერთხელ, ორშაბათს ან/და სამშაბათს. გამყიდველისათვის გაყიდული საქონლიდან მისაღები მინიმალური ოდენობა: 50 ლარიდან.

4.7 გამყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს ჯიმბოს ანაზღაურება საქონლის გაყიდვისთვის გამყიდველის სახელით. ანაზღაურება გამოითვლება გაყიდვების ანგარიშში და

მითითებულია მის ოდენობაში დღგ-ს ჩათვლით. ანაზღაურების გამოთვლის პროცედურა გათვალისწინებულია „ანაზღაურების ოდენობის გამოთვლის წესით“.

4.8 გამყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს Jimbo-ს გამყიდველის შეკვეთის შესრულებისას ტრანსპორტირებისთვის გაწეული ნებისმიერი ისეთი ხარჯი, რომლის მიზნობრიობაც განისაზღვრება ამ ხელშეკრულებით დადებული პირობების შესასრულებლად, თუკი Jimbo-ს მიერ გამყიდველის სახელით მყიდველთან შეკვეთის შესრულებისას დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების პირობები ითვალისწინებს საქონლის მყიდველისთვის მიწოდებას. გამყიდველის მიერ ანაზღაურებული ხარჯების ოდენობა უნდა მიეთითოს შესაბამის ანგარიშში.

4.9 შეკვეთის შესრულებისას Jimbo სთავაზობს გამყიდველს და გამყიდველი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს შემდეგი სერვისების საფასური:

4.9.1 ჯიმბოს საწყობში საქონლის შენახვის ღირებულება;

4.9.2 საქონლის „პროდუქციის შეფუთვისა და ეტიკეტირების წესებით“ განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის ღირებულება;

4.9.3 მომხმარებლისათვის საქონლის მიწოდების ორგანიზების საფასური;

4.9.4 მომხმარებლის მიერ დაბრუნებული პროდუქციის განკარგვის ღირებულება;

4.10 გაწეული მომსახურების მოცულობა და ღირებულება განისაზღვრება გაყიდვების ანგარიშში.

4.11 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ანგარიშსწორება ხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

4.12 გამყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს Jimbo-ს მომხმარებლისათვის საქონლის მიწოდების ორგანიზების და მოხმარებლის მიერ საწყობში დაბრუნებული საქონლის მომსახურებისთვის გათვალისწინებული მომსახურების საფასური, რომელსაც Jimbo წარუდგენს გამყიდველს.

## 5. Jimbo-ს სერვისის ღირებულება:

5.1 იმ შემთხვევაში თუკი გამყიდველი ისარგებლებს Jimbo-ს მიტანის სერვისით, იგი ვალდებულია გადაუხადოს ჯიმბოს 5 (ხუთი) ლარი, რომელსაც დაემატება 5.2 პუნქტით გათვალისიწნებული შეთავაზებული სერვისის ღირებულება.

5.2 Jimbo-ს მიერ გამყიდველისათვის შეთავაზებული სერვისებისათვის დადგენილია შესაბამისი ღირებულება:

| კატეგორია | FBS, % - გაყიდვის საკომისიო Jimbo-ს მიტანის სერვისით სარგებლობის შემთხვევაში | DBS, %- გაყიდვის საკომისიო გამყიდველის მიერ პროდუქტის კლიენტისათვის დამოუკიდებლად მიტანის შემთხვევში (Jimbo-ს მიტანის სერვისის გარეშე) |
|---|---|---|
| ელექტრონიკა | 10% | 8% |
| ტანსაცმელი | 15% | 13% |
| ფეხსაცმელი | 15% | 13% |
| სახლი და ბაღი | 13% | 11% |
| საბავშვო ნივთები | 15% | 13% |
| სილამაზე და ჯანმრთელობა | 15% | 13% |
| საყოფაცხოვრებო ტექნიკა | 10% | 8% |
| სპორტი და დასვენება | 20% | 18% |
| მშენებლობა და რემონტი | 12% | 10% |
| აფთიაქი/ფარმაცია | 7% | 5% |
| საქონელი ცხოველთათვის | 7% | 5% |
| წიგნები | 15% | 13% |
| ტურიზმი, თევზაობა,ნადირობა | 12% | 10% |
| საავტომობილო პროდუქცია | 10% | 8% |
| ავეჯი | 10% | 8% |
| ჰობი და შემოქმედება | 10% | 8% |
| საიუველირო სამკაულები | 9% | 7% |
| აქსესუარები | 13% | 11% |
| თამაშები და კონსოლები | 10% | 8% |
| საკანცელარიო ნივთები | 15% | 13% |
| პროდუქტები მოზრდილებისთვის | 15% | 13% |
| ანტიკვარიატი და საკოლექციო ნივთები | 15% | 13% |
| ციფრული საქონელი | 5% | 3% |
| საყოფაცხოვრებო ქიმია და ჰიგიენა | 15% | 13% |
| მუსიკა და ვიდეო | 15% | 13% |
| საავტომობილო საქონელი | 3% | 1% |

5.3 Jimbo-ს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეცვალოს საქონლის მიწოდების, დამუშავებისა და შენახვის/დასაწყობებისათვის განსაზღვრული ღირებულებები, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს, ამ ცვლილებების ძალაში შესვლის დღესვე.

## 6. პასუხისმგებლობა

6.1 გამყიდველი ვალდებულია გაუწიოს შესაბამისი დახმარება Jimbo-ს მესამე პირის მიერ ჯიმბოსთვის წარდგენილი ნებისმიერი პრეტენზიის, მოთხოვნის ან ქმედების შემთხვევაში, რომელიც დაკავშირებულია:

6.1.1 მათი ექსკლუზიური უფლებების დარღვევასთან, რომელიც გამოწვეულია საქონლის/პროდუქციის სამოქალაქო მიმოქცევაში უკანონო შემოტანით, საქონელთან მიმართებით იმ სასაქონლო ნიშნების უკანონო გამოყენებით, რომლის საავტორო უფლებების მფლობელები არიან ეს მესამე პირები;

6.1.2 საქონლის შეუსაბამობასთან ხელშეკრულებით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან და გარანტიებთან;

6.1.3 არასანდო/გაყალბებული სერტიფიკატების/ნებართვების მიწოდებასთან, რომელიც არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს ან/და მიღებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, ან გამყიდველის მიერ დადგენილი დოკუმენტების მიწოდების ვადის დარღვევით;

6.2 აღნიშნულიდან გამომდინარე გამყიდველი ვალდებულია 7 სამუშაო დღის ვადაში, აუნაზღაუროს Jimbo-ს მიყენებულის ზიანი რეპუტაციის შელახვისათვის და ასევე სხვა ტიპის მატერიალური ზიანი, რაც გამოწვეული გამყდიველის 6.1.1, 6.1.2 და 6.1.3 პუნქტებში ჩამოთვლილი ქმედებებით.

6.3 Jimbo არ არის პასუხისმგებელი გამყიდველის ან მესამე მხარის დაკარგულ მოგებაზე და შესაბამის ზიანზე, მიუხედავად იმისა, შეეძლო თუ არა ჯიმბოს ასეთი ზიანის გათვალისწინება.

6.4 თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან, თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს ნივთი საამისოდ აუცილებელ ვადაში.

6.5 გამყიდველს ეკისრება ნაკლის გამოსწორებისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება, მათ შორის, ტრანსპორტირების, გზის, სამუშაოს შესრულების და მასალის ღირებულების ხარჯები.

6.6 გამყიდველი ვალდებულია სრულად აანაზღაუროს გაწეული ხარჯები, თუ საქონელი მყიდველს მიეწოდება Jimbo-ს მიერ.

6.7 გამყიდველი ვალდებულია, მიუხედავად ყველა ამ პრობლემისა (კლიენტისათვის დეფექტური საქონლის მიწოდების და კლიენტის პრეტენზიისა), გადაიხადოს საკომისიო პროდუქტის Jimbo-ს პორტალზე განთავსებისთვის.

6.8 გამყიდველი პასუხისმგებელია ვებ-გვერდზე მის მიერ განთავსებულ პროდუქციაზე. დაუშვებელია ვებ-გვერდზე განთავსდეს ინფორმაცია ისეთი პროდუქტის შესახებ, რომლის რეალიზაციაც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით;

6.9 გამყიდველს არ აქვს უფლება ვებ-გვერდზე სარეალიზაციოდ განათავსოს შემდეგი სახის პროდუქცია:

- ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებები;
- ფეთქებადი, ცივი ან ცეცხლსასროლი იარაღი და მათი შემადგენელი ნივთიერებები;
- ქიმიური და მომწამლავი ნივთიერებები;
- აალებადი ან სხვა საშიში საგნები (მაგალითად: სანთებელა, ტოქსიკური და ინფექციური შიგთავსის მქონე ნივთები, საახალწლოდ განკუთვნილი ასაფეთქებელი საგნები, კოროზიული, რადიოაქტიური და სხვა გაურკვეველი ნივთიერების შემცველი საგნები);
- ცხოველები, ფიტულები, ცხოველების ძვლები, ორგანოები და მსგავსი ნაწილები;
- საგნები, რომლებმაც საფრთხე შეიძლება შეუქმნას ან/და დააბინძუროს სხვა გზავნილები;

**6.10 გამყიდველი ვალდებულია დაიცვას პორტალის გამოყენების შემდეგი წესები:**

6.10.1 გამყიდველი უფლებას აძლევს Jimbo-ს გამოიყენოს მისი სასაქონლო ნიშანი, გამყიდველის პროდუქტის გაყიდვისა და შესაბამის რეკლამებში განთავსების/გამოყენების მიზნით. აღნიშნულით გამყიდველი Jimbo-ს აძლევს უფლებას ვებ-გვერდზე განათავსოს ლოგო და/ან ბრენდის სახელი ან ხელშეკრულებით გადაცემული (მოწოდებული) საქონელი.

6.10.2 გამყიდველი ადასტურებს რომ ვებ-გვერდზე ავტორიზაციას ახდენს მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით. (მომხამრებლის სახელი შეიძლება გულისხმობდეს ტელეფონის ნომერს ან ელ. ფოსტას).

6.10.3 გამყიდველი დამოუკიდებლად აქვეყნებს ინფორმაციას პროდუქტის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია შესაძლოა მოიცავდეს როგორც საქონლის აღწერას ისე ფოტოსურათებს;

6.10.4 გამყიდველი პასუხისმგებელია მესამე პირების წინაშე პორტალზე განთავსებული ინფორმაციის შინაარსზე, მის კანონთან შესაბამისობაზე და მესამე მხარის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების გამოყენებაზე ინფორმაციისა და ფოტოების განთავსებისას;

6.10.5 გამყიდველი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ ვებ-გვერდზე მითითებული ინფორმაცია წარმოადგენს საქონლის რეალურ აღწერას და არ ემსახურება მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას. გამყიდველი ადასტურებს, რომ იგი დაიცავს მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ დებულებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ გამოყენებული იქნება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

6.10.6 თუკი Jimbo პორტალზე აღმოაჩენს არასწორ ან მომხმარებლის შეცდომაში შემყვან ინფორმაციას, იგი ულფებამოსილია გამყიდველთან წინასწარი შეთანხმების ან მისთვის შეტყობინების გაგზავნის გარეშე, დაუყოვნებლივ შეუჩეროს გამყიდველს წვდომა პორტალზე და დააკისროს ჯარიმა, მითითებული საქონლის ღირებულების 50%-ის ოდენობით.

6.10.7 ჯიმბოს უფლება აქვს წაშალოს ნებისმიერი ინფორმაცია პორტალიდან, თუ ასეთი ინფორმაცია, ჯიმბოს აზრით, არღვევს მოქმედ კანონმდებლობას ან მესამე მხარის უფლებებს.

6.10.8 გამყიდველის მიერ პორტალზე განთავსებული ინფორმაცია არ წარმოადგენს გამყიდველის სავაჭრო ან/და კომერციულ საიდუმლოებას და შეიძლება ჯიმბომ მიაწოდოს მესამე მხარეს ანალიზისთვის, შესანახად ან დასამუშავებლად Jimbo-ს მიერ შეთავაზებული სერვისის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

6.10.9 Jimbo-ს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს გამყიდველისგან პროდუქტის ხარისხისა და პროდუქტის სავალდებულო მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები, როგორიცაა: შესაბამისობის სერტიფიკატი, პროდუქტის რეგისტრაციის სერტიფიკატი და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ნებისმიერი დოკუმენტი.

**6.11 ეტიკეტირებასთან დაკავშირებით გამყიდველი ვალდებულია:**

6.11.1 წარმოადგინოს ინფორმაცია საქონლის მოცულობის და მისი შენახვისა და გათავსების ადგილის მიხედვით პორტალზე;

6.11.2 Jimbo-ს წესების შესაბამისად მოახდინოს სარეალიზაციო საქონლის მარკირება და ეტიკეტირება. საქონლის მარკაზე უნდა იყოს მითითებული შესაბამისი შტრიხ-კოდი, რომელიც უნდა ემთხვეოდეს გამყიდველის მიერ წარმოდგენილ ფაილებში არსებულ შტრიხ-კოდს.

6.11.3 თუ პროდუქტი ხელმისაწვდომია ერთზე მეტ ზომაში, გამყიდველი ვალდებული თითოეულ ზომას მიუთითოს თავისი უნიკალური შტრიხ-კოდი ზომისთვის;

6.11.4 საქონლის ეტიკეტირება ორი განსხვავებული ურთიერთსაწინააღმდეგო ეტიკეტით დაუშვებელია.

6.11.5 უზრუნველყოს, რომ საქონლის გარე შეფუთვა იყოს დამზადებული გამძლე სამფენიანი მუყაოსგან (ყუთი). შეფუთვა არ უნდა შეიცავდეს რაიმე დაზიანებას, ჭუჭყის ან ტენიანობის კვალს; გარე შეფუთვა უნდა შეესაბამებოდეს სანიტარულ და ჰიგიენურ სტანდარტებს.

**6.12 გამყიდველი ვალდებულია დაიცვას სარეალიზაციო საქონლის შეფუთვის წესი, რომელიც დადგენილია Jimbo-ს მიერ და ითვალისწინებს:**

6.12.1 ტექსტილისა და აქსესუარის შემთხვევაში - თითოეული პროდუქტი უნდა იყოს ცალკე შეფუთვაში. რამდენიმე ერთეულის ერთად შეფუთვა დაუშვებელია. ინდივიდუალურ შეფუთვაში შესაძლებელი უნდა იყოს პროდუქტის იდენტიფიცირება გახსნის გარეშე; ინდივიდუალური შეფუთვა უნდა იყოს გამძლე (შეფუთვის პოლიეთილენის სისქე არ უნდა იყოს 0,2 მმ-ზე ნაკლები) და მჭიდროდ დახურული.

6.12.2 ფეხსაცმლისა და ყუთში მოთავსებული პროდუქტების შემთხვევაში - თითოეული წყვილი ფეხსაცმელი შეფუთული უნდა იყოს მუყაოს ყუთში; ყუთი, რომელშიც პროდუქტი შეფუთულია, არ უნდა აღემატებოდეს 60 სმ-ს სამიდან რომელიმე განზომილებაში (სიგრძე/სიგანე/სიმაღლე). ფეხსაცმელი უნდა იყოს გაფორმებული სპეციალური ქაღალდით ან შეფუთული ცალკე ჩანთებში, ხოლო ყუთი უნდა შეიცავდეს სპეციალურ ელემენტებს, რომლებიც შთანთქავს ზედმეტ ტენიანობას.

6.12.3 საკიდზე განთავსებული საქონლის შემთხვევაში - საკიდზე განთავსებულ თითოეულ პროდუქტს უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური შეფუთვა, რომელიც მთლიანად ფარავს მას (შეფუთვიდან არ უნდა გამოდიოდეს საქონლის არცერთი ნაწილი).

6.12.4 თითოეული პროდუქტის შემთხვევაში - ინდივიდუალური შეფუთვა მნიშვნელოვნად არ უნდა აღემატებოდეს მასში შემავალი პროდუქტის ზომას. პროდუქტს არ უნდა ჰქონდეს რაიმე უცხო სუნი, არ უნდა იყოს ნესტიანი ან ობიანი; ინდივიდუალური შეფუთვა უნდა იყოს დანომრილი შეთანხმებული ფორმატის შტრიხკოდით და შეფუთვაში შემავალი პროდუქტი კარგად უნდა იყოს დაკეცილი.

6.12.5 პროდუქტის ცალკეული ჯგუფები უნდა შეესაბამებოდეს **დანართი №1-ში** მითითებულ ფოტოსურათებზე არსებულ შეფუთვას (აღნიშნული მოიცავს: მარტივად მსხვრევად ნივთებს, სამზარეულოს ჭურჭელს, მათ შორის: თეფშები, ჭიქები, ქვაბები და მისთ.) და გათვალისწინებული იყოს შემდეგი პირობები:

- პროდუქტი შეფუთული უნდა იყოს ინდივიდუალურ ყუთში, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს თავად პროდუქტის ზომას;
- პროდუქტი მთლიანად უნდა იყოს შეფუთული დამცავ მასალაში (ბუშტუკოვან პოლიეთილენის პარკში) და იცავდეს ისეთი პროდუქციის გარეთ გამოჟონვას, როგორიცაა კოსმეტიკური მასალა ან/და საყოფაცხოვრებო ქიმიკატები. შეფუთვა

შესაძლოა იყოს მკვრივი პოლიეთილენის პარკისაგან დამზადებული, რომელიც ყველა მხრიდან ლუქავს ზემოხსენებული ტიპის პროდუქტს.

- ჩანთების შემთხვევაში, პროდუქტების ფორმის შესანარჩუნებლად მისი სათავსოები უნდა იყოს შევსებული ქაღალდის ან/და პოლიეთილენის მასალით.

6.12.6 გამყიდველი ვალდებულია, სწორად შეფუთოს საქონელი კლიენტთან გაგზავნამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, კლიენტთან დაზიანებული შეფუთვით საქონლის მიწოდებისა და კლიენტის პრეტენზიის შემთხვევაში, გამყიდველს დაეკისრება ჯარიმა, 50 ლარის ოდენობით.

6.12.7 ჯიმბო პორტალზე ინდივიდუალური ნივთების შეძენისას მყიდველის საჩივრის შემთხვევაში, გამყიდველს დაერიცხება ჯარიმა 50 ლარის ოდენობით. ასეთ შემთხვევაში გამყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს დაზიანება და უკმაყოფილო კლიენტს მიაწოდოს უნაკლო ხარისხის პროდუქტი.

## 7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან ან მასზე თანხმობის გაცხადების დღიდან და ძალაშია განუსაზღვრელი ვადით.

7.2 მხარეებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება, რის შესახებაც 1 კვირით ადრე უნდა შეატყობინონ ერთმანეთს.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის უფლება

8.1 Jimbo უფლებამოსილია ცალმხრივად შეიტანოს ცვლილება ხელშეკრულებაში, თუკი აღნიშნულით არ უარესდება მეორე მხარის უფლებრივი თუ ფინანსური მდგომარეობა.

8.2 ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება დანართის სახით დაერთვის წინამდებარე დოკუმენტს და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია ხელშეკრულების ახალი რედაქციის შედგენაც.

## 9. დავის გადაწყვეტის წესი

9.1 მხარეთა შორის, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სადავო საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით; შეთანხმებით ან სასამართლო წესით.

9.2 დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

## 10. დასკვნითი დებულებები

10.1 მხარეებს შორის ნებისმიერი მიმოწერა, მათ შორის შეტყობინებების, პრეტენზიების, პირველადი დოკუმენტების გაგზავნა, ხორციელდება პორტალის მეშვეობით.

10.2 ნებისმიერი საკითხი, რომელიც არ წესრიგდება წინამდებარე ხელშეკრულებით, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობას.

10.3 მხარეები აცხადებენ თანხმობას, რომ დაიცვან კონფიდენციალურობის ვალდებულება წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში. ხელშეკრულების მიზნებისათვის კონფიდენციალურად ითვლება ნებისმიერი ტიპის ინფორმაცია თუ დოკუმენტი, რომლის გაცვლაც მოხდა მხარეთა შორის აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში. კონფიდენციალურობის დამრღვევი მხარე ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

10.4 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისაგან იმ შემთხვაში თუკი მსგავსი შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის გარემოებებით. მხარე რომელსაც შეექმნა დაუძლეველი ძალის გარემოება ვალდებულია აღნიშნულის შესახებ აცნობოს მეორე მხარეს დაუყოვნებლივ, თუმცა არაუგვიანეს მსგავსი გარემოების დადგომიდან 2 სამუშაო დღისა.

10.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და რუსულ ენებზე. ორ ეგზემპლარად, თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეების მიერ.

**მხარეთა რეკვიზიტები**

| | |
|---|---|
| „ოფერტის“ გამცემი | გამყიდველი |
| შპს „მაღაზია ჯიმბო“ ს/ნ 446997965 | შპს _____ |
| _____ | _____ |



_____ _____

**დანართი №1**

ხელშეკრულების 6.8.5 პუნქტში მითითებული პროდუქცია უნდა შეიფუთოს ფოტოსურათებზე მითითებული ნიმუშების მსგავსად:

1.

2.

3.

4.

5.

**Соглашение**

**Размещение и продажа продукции на сайте Jimbo.ge**

**О предложении**

С одной стороны, ООО «Магазин Джимбо» (с/н: 446997965) в лице директора Levon Arutiunyan (далее именуемое «Оферент»), и с другой стороны, ООО _____ (с/н: ----------
----------) в лице директора ---------- (далее именуемое «Продавец»)

Именуемые в тексте Соглашения «Сторона» или совместно «Стороны», мы заключаем настоящее Соглашение на основе свободного волеизъявления и законодательства Грузии.

1. **Определение терминов**

1.1 Термины, используемые в Соглашении, имеют следующие значения:

1.1.1 **Оферта** - Условия оферты, касающиеся размещения и продажи товаров/продуктов для продажи на Jimbo.ge. Согласие, выраженное продавцом, влечет за собой заключение договора на условиях, указанных в оферте.

1.1.2 **Оферент** - интернет-магазин Jimbo.ge

1.1.3 **Продавец** — коммерческая организация, индивидуальный предприниматель и/или физическое лицо, которое в соответствии с законодательством Грузии считается самозанятым и согласно принять оферту.

1.1.4 **Jimbo.ge** - сайт, созданный в Интернете, который предлагает пользователям предложения и позволяет им приобретать желаемые товары.

1.1.5 **Договор** - соглашение между сторонами, в рамках которого «Продавец» соглашается с условиями оферты, содержащимися в настоящем документе.

2. **Предмет договора**

2.1 В соответствии с настоящим Договором Продавец передает, а «Оферент» обязуется совершать от имени Продавца и за счет Продавца сделки по купле-продаже товаров, принадлежащих последнему. Джимбо от имени продавца получает от покупателей оплату стоимости товара и переводит выручку от продажи товара продавцу. Jimbo самостоятельно устанавливает правила совершения операционных процессов на Сайте, за исключением случаев, предусмотренных Договором, и обязан информировать Продавца о данных правилах.

2.2 В случаях, предусмотренных договором, продавец обязуется возместить Jimbo расходы, понесенные при выполнении заказа.

2.3 Помимо услуг, указанных в пункте 2.1 настоящего Соглашения, Jimbo может предложить Продавцу следующие услуги, связанные с реализуемым товаром:

- Организация доставки товара заказчику;
- Прием товаров, возвращенных клиентами, хранение товаров на складах Jimbo (или партнеров Jimbo);



_____ _____

- Утилизация товара, возвращенного потребителем по причине его дефектов.

2.3.1 Услуга, предусмотренная в пункте 2.3 настоящего Соглашения, будет оказана Продавцу только в случае передачи Продавцом принадлежащих ему товаров/продукции Jimbo.

2.3.2 В случае, если продавец не доставляет товар Джимбо, он обязан за счет своих сил и средств обеспечить доставку приобретенного последним товара покупателю не позднее 2 дней с момента покупки товара покупателем.

2.4 Продавец размещает список товаров для продажи на портале продажи товаров, по форме, предоставленной Jimbo, указывая наименование товара и другие важные данные.

2.5 Товар считается собственностью продавца до тех пор, пока право собственности на него не перейдет к потребителю.

**3. Доставка товара заказчику компанией Jimbo;**

3.1 Передача товара Джимбо заказчику осуществляется:

3.1.1 Если между потребителем и продавцом через интернет-сайт заключен договор купли-продажи в отношении переданного товара;

3.1.2 Или если нет заказа клиента. Однако в таком случае доставка товара покупателю осуществляется на основании предварительной договоренности с Jimbo, путем заполнения заявки, размещенной на портале.

3.2 Продавец обязан самостоятельно и регулярно проверять размещенную на портале информацию о заказах клиентов. Также информация о количестве товара на складе Jimbo, если продавец передал товар Jimbo для доставки покупателю.

3.3 В случае, если проданный товар не будет доставлен покупателю в течение 2 рабочих дней в соответствии с правилами, изложенными в пункте 3.1, и продавец не разместит соответствующее уведомление на портале, а покупатель подаст в связи с этим претензию, Jimbo вправе наложить на продавца штраф в размере 50% от стоимости проданного товара. Продавец обязан оплатить указанный штраф в течение 5 рабочих дней с момента его выписки Jimbo, путем перевода на банковский счет, указанный Jimbo.

Если стороны придут к соглашению, Jimbo может удержать штраф из выручки от продажи продукции продавца.

3.4 В целях обеспечения бесперебойной доставки проданного товара потребителю продавец обязан:

3.4.1 Загружать на портал соответствующую финансовую документацию (например: счета-фактуры, накладные и т.п.) на портал до передачи товара в Jimbo;

3.4.2 В соответствии с договоренностью с Jimbo, доставыть товар представителю Джимбо в согласованное время и место.

3.5 Информация о заказе Покупателя будет считаться полученной Продавцом с момента размещения информации о заказе Покупателя на Портале.

3.6 В случае неисполнения продавцом обязательства, предусмотренного пунктом 3.4 договора, Jimbo имеет право отказаться от принятия товара.

3.7 Доставка товара на склад Jimbo осуществляется за счет продавца.

3.8 Если на момент передачи товара Продавцом Jimbo не зафиксирован заказ на поставляемый товар, либо передача товара не согласована в порядке, предусмотренном пунктом 3.1.2 Договора, Jimbo вправе отказаться от принятия товара.

3.9 Если клиент отменяет заказ на приобретенный товар до того, как продавец передаст его Jimbo и соответственно уплаченная сумма возвращается, указанный товар возвращается продавцу и не остается на складе Jimbo.

3.10 Продавец обязан упаковать товар в соответствии с правилами маркировки перед его передачей Джимбо.

3.11 Служба доставки Jimbo является транспортно-экспедиторской услугой и может включать в себя следующие виды деятельности: подготовка документов, необходимых для перевозки; Погрузка и разгрузка транспортных средств; Оказание информационных услуг потребителю;

3.12 Jimbo самостоятельно определяет маршруты перевозки грузов и условия предоставления услуг. Jimbo имеет право привлекать третью сторону для перевозки грузов.

**4. Правило оплаты:**

4.1 Продавец имеет право изменять цену товара, размещенную на сайте, в том числе путем указания скидок. Товар может быть продан Jimbo по цене, указанной на портале на момент продажи, которая может включать скидку, указанную продавцом.

4.2 Розничная цена, указанная Продавцом на Сайте, включает в себя стоимость Товара, упаковки и маркировки, доставки, а также иные расходы Продавца, предусмотренные настоящим Договором, и учитывает все косвенные налоги, применимые в соответствии с законодательством.

4.3 Jimbo имеет право без одобрения/согласия Продавца, но после его уведомления, самостоятельно применять скидки к цене товара, указанные Продавцом.

4.4 Каждую неделю, перед окончанием отчетного периода, Джимбо предоставляет продавцу отчет о продажах. Отчетный период составляет 1 неделю, в течение которой Джимбо продал товар от имени продавца.

4.5 Отчет о продажах предоставляется продавцу путем размещения его на портале. Продавец имеет право предоставить обоснованные комментарии по аккаунту в разумные сроки после его размещения на портале. Если продавец не предоставит никаких комментариев/замечаний относительно отчета о продажах в течение разумного периода времени, то вышеуказанное будет считаться одобренным.

4.6 Jimbo выплачивает продавцу сумму, полученную от продажи товара, в течение 1 недели после публикации отчета о продажах товара, всегда один раз в неделю, в понедельник и/или вторник. Минимальная сумма, которую продавец может получить от проданного товара: от 50 лари.

4.7 Продавец обязуется выплатить Jimbo компенсацию за продажу товара от имени продавца. Возврат рассчитывается в отчете о продажах и указывается в его сумме с учетом НДС. Порядок расчета размера компенсации предусмотрен «Правилами расчета размера компенсации».

4.8 Продавец обязуется возместить Jimbo любые транспортные расходы, возникшие при выполнении заказа Продавца, цель которых определяется выполнением условий настоящего Соглашения, если условия договора купли-продажи, заключенного Jimbo с Покупателем от имени Продавца при выполнении заказа, предусматривают доставку товара Покупателю. Сумма возмещенных продавцом расходов должна быть указана в соответствующем отчете.

4.9 При выполнении заказа Jimbo предлагает Продавцу, а Продавец обязуется оплатить следующие услуги:

4.9.1 Стоимость хранения товара на складе Джимбо;

4.9.2 Расходы на приведение товара в соответствие с требованиями, установленными «Правилами упаковки и маркировки продукции»;

4.9.3 Плата за организацию доставки товара заказчику;

4.9.4 Расходы на утилизацию продукции, возвращенной покупателем;

4.9.5 Объем и стоимость оказанных услуг определяются в отчете о продажах.

4.10 Любые платежи, предусмотренные настоящим Соглашением, осуществляются в национальной валюте Грузии - лари.

4.11 Продавец обязуется выплатить Jimbo комиссию за организацию доставки товара Клиенту и за обслуживание товара, возвращенного Клиентом на склад, которую Jimbo передаст Продавцу.

**5. Стоимость услуг Jimbo:**

5.1 В случае, если Продавец воспользуется услугой доставки Jimbo, он обязан уплатить Jimbo 5 (пять) лари, к которым будет добавлена стоимость предлагаемой услуги, указанная в пункте 5.2.

5.2 Соответствующая стоимость услуг, предлагаемых Jimbo продавцу, устанавливается:

| **Категория** | **FBS, % - Комиссия с продаж при использовании службы доставки Jimbo** | **DBS, %- комиссия с продаж в случае, если продавец самостоятельно доставляет товар покупателю (без учета службы доставки Jimbo)** |
|---|---|---|
| Электроника | 10% | 8% |
| Одежда | 15% | 12% |
| Обувь | 15% | 12% |
| Дом и сад | 13% | 11% |
| Детские товары | 15% | 13% |
| Красота и здоровье | 15% | 13% |
| Бытовая техника | 10% | 8% |
| Спорт и отдых | 20% | 18% |
| Строительство и ремонт | 12% | 10% |
| Аптека | 7% | 5% |

| | | |
|---|---|---|
| Товары для животных | 7% | 5% |
| Книги | 15% | 13% |
| Туризм, рыбалка, охота | 12% | 10% |
| Автотовары | 10% | 8% |
| Мебель | 10% | 8% |
| Хобби и творчество | 10% | 8% |
| Ювелирные украшения | 9% | 7% |
| Аксессуары | 13% | 11% |
| Игры и консоли | 10% | 8% |
| Канцелярские товары | 15% | 13% |
| Товары для взрослых | 15% | 13% |
| Антиквариат и коллекционирование | 15% | 13% |
| Цифровые товары | 5% | 3% |
| Бытовая химия и гигиена | 15% | 13% |
| Музыка и видео | 15% | 13% |
| Транспортные средства | 3% | 1% |

5.3 Jimbo имеет право в любое время в одностороннем порядке изменить установленные цены на доставку, обработку и хранение/складирование товара, о чем он обязан незамедлительно уведомить другую сторону в день вступления этих изменений в силу.

**6. Ответственность:**

6.1 Продавец обязан оказать Jimbo соответствующую помощь в случае предъявления Jimbo претензий, требований или исков третьим лицом, связанных с:

6.1.1 Нарушение их исключительных прав, возникшее в результате незаконного введения товаров (продукции) в гражданский оборот, незаконного использования товарных знаков в отношении товаров, правообладателями которых являются эти третьи лица;

6.1.2 Несоответствие товара требованиям и гарантиям, установленным договором или законодательством Грузии;

6.1.3 Предоставление недостоверных/поддельных сертификатов/разрешений, не соответствующих требованиям законодательства Грузии и/или полученных с нарушением требований законодательства Грузии, либо с нарушением сроков предоставления документов, установленных Продавцом;

6.2 На основании вышеизложенного Продавец обязуется в течение 7 рабочих дней возместить Jimbo ущерб, причиненный его репутации, а также иные виды материального ущерба, причиненные действиями Продавца, перечисленными в пунктах 6.1.1, 6.1.2 и 6.1.3.

6.3 Jimbo не несет ответственности за упущенную выгоду и связанный с этим ущерб продавца или третьих лиц, независимо от того, мог ли Jimbo предвидеть такой ущерб.

6.4 Если проданная вещь имеет недостаток, продавец должен или исправить этот недостаток, или, если дело касается родовой вещи, заменить вещь в необходимое для этого время.

6.5 На продавца возлагается возмещение необходимых для исправления расходов, в том числе по транспортировке, дорожных расходов, стоимости исполнения работ и материалов.

6.6 Продавец обязан полностью возместить понесенные расходы, если товар был доставлен покупателю магазином Jimbo.

6.7 Продавец обязан, несмотря на все эти проблемы (поставка некачественного товара клиенту и претензии клиента), выплачивать комиссию за размещение товара на портале Jimbo.

6.8 Продавец несет ответственность за товары, размещаемые им на сайте. Не допускается размещение на сайте информации о товаре, продажа которого запрещена законодательством Грузии;

6.9 Продавец не имеет права размещать на Сайте для продажи следующие виды товаров:

- Наркотические и психотропные вещества;
- Взрывчатое, холодное или огнестрельное оружие и входящие в его состав вещества;
- Химические и токсичные вещества;
- Легковоспламеняющиеся и другие опасные предметы (например: зажигалки, предметы с токсичным и инфекционным содержимым, взрывоопасные предметы, предназначенные для празднования Нового года, предметы, содержащие едкие, радиоактивные и другие неизвестные вещества);
- Животные, чучела животных, кости, органы и аналогичные части животных;
- Предметы, которые могут представлять опасность и/или загрязнять другие грузы;

**6.10 Продавец обязан соблюдать следующие правила пользования порталом:**

6.10.1 Продавец предоставляет Jimbo право использовать свою торговую марку в целях продажи продукции Продавца и размещения/использования ее в соответствующей рекламе. Продавец настоящим предоставляет Jimbo право размещать на сайте логотип и/или фирменное наименование товара, передаваемого (поставляемого) по договору.

6.10.2 Продавец подтверждает, что он/она проходит аутентификацию на сайте, используя имя пользователя и пароль. (Имя пользователя может ссылаться на номер телефона или адрес электронной почты).

6.10.3 Ритейлер самостоятельно публикует информацию о товаре. Эта информация может включать как описание товара, так и фотографии;

6.10.4 Продавец несет ответственность перед третьими лицами за содержание информации, размещенной на Портале, ее соответствие законодательству, а также использование прав интеллектуальной собственности третьих лиц при размещении информации и фотографий;

6.10.5 Продавец гарантирует, что информация, представленная на сайте, соответствует действительности и не вводит потребителя в заблуждение. Продавец подтверждает, что будет соблюдать положения законодательства Грузии о защите прав потребителей. В противном случае к нему будут применены меры, предусмотренные законодательством Грузии.

6.10.6 В случае обнаружения на портале неверной или вводящей в заблуждение информации Jimbo оставляет за собой право без предварительного согласования с продавцом или уведомления его немедленно приостановить доступ продавца к порталу и наложить штраф в размере 50% от стоимости указанного товара.

6.10.7 Jimbo имеет право удалить любую информацию с Портала, если такая информация, по мнению Jimbo, нарушает применимое законодательство или права третьих лиц.

6.10.8 Информация, размещенная Продавцом на Портале, не является торговой и/или коммерческой тайной Продавца и может быть предоставлена Jimbo третьим лицам для анализа, хранения или обработки в целях улучшения качества услуг, предлагаемых Jimbo.

6.10.9 Jimbo имеет право в любое время запросить у Продавца документы, подтверждающие качество товара и его соответствие обязательным требованиям, такие как: сертификат соответствия, свидетельство о регистрации товара, а также любые другие документы, предусмотренные законодательством Грузии.

**6.11 В отношении маркировки продавец обязан:**

6.11.1 Разместить на портале информацию об объемах товаров, местах их хранения и размещения;

6.11.2 Маркировка товары, предназначенные для продажи, в соответствии с правилами Джимбо. На этикетке товара должен быть указан соответствующий штрих-код, который должен совпадать со штрих-кодом в файлах, предоставленных продавцом.

6.11.3 Если товар доступен в нескольких размерах, продавец обязан предоставить каждому размеру свой уникальный штрих-код;

6.11.4 Маркировка товаров двумя разными, противоречащими друг другу этикетками не допускается.

6.11.5 Продавец обязан обеспечить, чтобы внешняя упаковка товара была изготовлена из прочного трехслойного картона (коробка). Упаковка не должна иметь повреждений, грязи и следов влаги; Внешняя упаковка должна соответствовать санитарно-гигиеническим нормам.

**6.12 Продавец обязан соблюдать правила упаковки продаваемого товара, установленные Jimbo и включающие в себя:**

6.12.1 В случае с текстилем и аксессуарами - каждое изделие должно быть в отдельной упаковке. Упаковка нескольких единиц вместе не допускается. Индивидуальная упаковка должна позволять идентифицировать продукт, не вскрывая ее; Индивидуальная упаковка должна быть прочной (толщина упаковочного полиэтилена должна быть не менее 0,2 мм) и плотно закрываться.

6.12.2 В случае обуви и коробочной продукции - каждая пара обуви должна быть упакована в картонную коробку; Коробка, в которую упакован товар, не должна превышать 60 см по любому из трех измерений (длина/ширина/высота). Обувь должна быть выложена специальной бумагой или упакована в отдельные пакеты, а в коробке должны быть специальные элементы, поглощающие излишнюю влагу.

6.12.3 В случае размещения товара на вешалке - каждый товар, размещенный на вешалке, должен иметь индивидуальную упаковку, которая полностью его закрывает (никакая часть товара не должна выступать из упаковки).

6.12.4 В случае каждого продукта индивидуальная упаковка не должна значительно превышать размер содержащегося в ней продукта. Продукт не должен иметь посторонних запахов, быть влажным или затхлым; Индивидуальная упаковка должна быть пронумерована с использованием согласованного формата штрих-кода, а продукт, содержащийся в упаковке, должен быть аккуратно сложен.

6.12.5 Отдельные группы товаров должны соответствовать упаковке на фотографиях, указанных в **Приложении №1** (сюда входят: легкобьющиеся предметы, кухонные принадлежности, в том числе: тарелки, чашки, кастрюли и т. д.), а также должны быть соблюдены следующие условия:

- Товар должен быть упакован в индивидуальную коробку, размер которой должен соответствовать размеру самого товара;
- Изделие должно быть полностью упаковано в защитный материал (полиэтиленовый пакет с пузырчатой пленкой) и защищено от протекания таких продуктов, как косметика и/или бытовая химия. Упаковка может быть выполнена из плотного полиэтиленового пакета, который герметично запечатывает вышеуказанный вид продукции со всех сторон.
- В случае использования пакетов их отсеки следует заполнить бумагой и/или полиэтиленовым материалом для сохранения формы продукции.

6.12.6 Продавец обязан надлежащим образом упаковать товар перед отправкой его покупателю. В противном случае, в случае поставки товара клиенту с поврежденной упаковкой и предъявления претензии клиентом, с продавца взимается штраф в размере 50 лари.

6.12.7 В случае предъявления покупателем претензии при покупке отдельных товаров на портале Jimbo с продавца взимается штраф в размере 50 лари. В таком случае продавец обязан возместить ущерб и предоставить недовольному покупателю товар безупречного качества.

## 7. Срок действия договора:

7.1 Соглашение вступает в силу с даты его подписания или с даты согласия с ним и действует в течение неопределенного срока.

7.2 Стороны имеют право расторгнуть настоящее Соглашение в любое время, уведомив об этом друг друга за 1 неделю.

**8. Право на внесение изменений в договор:**

8.1 Jimbo имеет право в одностороннем порядке вносить изменения в Соглашение при условии, если это не ухудшит юридическое или финансовое положение другой стороны.

8.2 Любые поправки к Соглашению прилагаются к настоящему документу в качестве приложения и являются его неотъемлемой частью. По соглашению сторон возможна разработка новой редакции договора.

**9. Процедура разрешения споров**

9.1 Споры между сторонами, вытекающие из настоящего договора, разрешаются в соответствии с действующим законодательством; По соглашению или по решению суда.

9.2 Спор будет рассматриваться общими судами Грузии в соответствии с законодательством Грузии.

**10. Заключительные положения**

10.1 Вся переписка между сторонами, включая направление уведомлений, претензий и первичных документов, осуществляется через портал.

10.2 Вопросы, не урегулированные настоящим Соглашением, регулируются законодательством Грузии.

10.3 Стороны соглашаются сохранять конфиденциальность в рамках настоящего Соглашения. Для целей Соглашения любой тип информации или документов, которыми обмениваются стороны в рамках Соглашения, считается конфиденциальным. Сторона, нарушившая конфиденциальность, Обязан возместить ущерб (если таковые имеются).

10.4 Стороны освобождаются от исполнения своих обязательств по договору, если такое неисполнение вызвано обстоятельствами непреодолимой силы. Сторона, столкнувшаяся с обстоятельствами непреодолимой силы, обязана немедленно, но не позднее 2 рабочих дней с момента наступления таких обстоятельств, уведомить об этом другую сторону.

10.5 Соглашение составлено на грузинском и русском языках. В двух экземплярах, имеющих одинаковую юридическую силу и хранится у сторон.

**Подробности сторон**

| | |
|---|---|
| «Оферент» | «Продавец» |
| ООО «Магазин Джимбо» (с/н: 446997965) | ООО _____ |
| _____ | _____ |



_____ _____

**Приложение №1**

Продукция, указанная в пункте 6.8.5 договора, должна быть упакована аналогично образцам, представленным на фотографиях:

1.

2.

3.


4.

5.